საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომა

2019 წლის 7 ივნისი, 10:00 სთ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/61 და 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებების ცნობად მიღება.

(გადაწყვეტილების პროექტი ითვალისწინებს პაატა სილაგაძის 2019 წლის 3 ივნისიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე დაინიშვნის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ცნობად მიღებას)

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2018 წლის 18 დეკემბრის №8/პლ-2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

(გადაწყვეტილების პროექტი ითვალისწინებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 72-ე მუხლის საფუძველზე, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთათვის 2019 წელს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული ყოველთვიური დანამატის განსაზღვრის შესახებ“ პლენუმის დადგენილებიდან მოსამართლე პაატა სილაგაძის დაზღვევასთან დაკავშირებული დანამატის ამოღებას)

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2018 წლის 18 დეკემბრის №7/პლ-2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

4. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარეობის კანდიდატების დასახელება პლენუმის წევრების მიერ.

5. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარის არჩევა.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალის „მართლმსაჯულება და კანონის“ რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიის განსაზღვრა.

(გადაწყვეტილების პროექტი ითვალისწინებს სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალის „მართლმსაჯულება და კანონის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრას და საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და მოსამართლეთა ასოციაციის თანამშრომლობის გაგრძელებას ჟურნალის ერთობლივ თანადაფინანსებასა და გამოცემაზე)